პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 20 დეკემბერი, 1949 წ. № 250 (8553). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ლენინ-სტალინის გმირული პარტია — „პრავდის“ 19-XII მოწინავე (1-ლი გვერდი).
ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცხრე ტომი ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).
ზეიმი გორში (მე-2 გვერდი).
გ. სიხარულიძე — სოციალისტური შრომა მილიონთა შემოქმედებაა (მე-2 გვერდი).
ი. გრიშაშვილი — გორი (მე-2 გვერდი).
შ. ჭანუყვაძე — კოლმეურნეები საჩუქრებს უმზადებენ სამშობლოს (მე-2 გვერდი).
ლ. ბაგრატიონი — ქართველ მხატვართა თვალსაჩინო ნაწარმოებები (მე-3 გვერდი).
ბ. ლომაძე — განახლებული ქუთაისი (მე-3 გვერდი).
პროგრესული კაცობრიობის ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად (მე-4 გვერდი).

ლენინ-სტალინის გმირული პარტია

დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილმა ჩვენმა ბოლშევიკურმა პარტიამ ბრძოლისა და გამარჯვებათა დიდი და სახელოვანი გზა განვლო. თავისი ისტორიის ყველა ეტაპზე იგი მუდამ გამოდიოდა, როგორც მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა შთამაგონებელი, მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი ძალა.

ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ბოლშევიკების გმირულმა პარტიამ მომზადა და განახორციელა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია. სწორედ ჩვენს ქვეყანაში პირველად კაცობრიობის ისტორიაში დაქირავებულთა კლასი, დევნილთა კლასი, ჩაგრულთა და ექსპლოატირებულთა კლასი ამაღლდა გაბატონებული კლასის მდგომარეობამდე.

ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა განახორციელა მოწინავე კაცობრიობის საუკუნეობრივი ოცნება — ააშენა სოციალისტური საზოგადოება. მოკლე ისტორიულ ვადაში საბჭოთა კავშირში დიდი სტალინის ბრძნული წინამძღოლობით ჩატარდა გიგანტური მუშაობა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის, რამაც ძირეულად შეცვალა ჩვენი ქვეყნის სახე. სტალინური ხუთწლედების წლებში ათასობით აშენდა ქარხნები, ფაბრიკები, შახტები, მაღაროები, შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, წარმოიშვა ინდუსტრიის ახალი კერები.

ბოლშევიკების პარტიამ წარმატებით გადაჭრა დიდი ისტორიული ამოცანა — მილიონობით წვრილმესაკუთრულ გლეხურ მეურნეობათა გადაყვანა კოლმეურნეობების გზაზე, სოციალიზმის გზაზე. სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის თეორია, რომელიც ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა, განხორციელებულია. საბჭოთა კავშირი მსოფლიოში ყველაზე მექანიზებული, ყველაზე მსხვილი, ყველაზე ნაყოფიერი სოფლის მეურნეობის ქვეყანა გახდა.

დიადმა სტალინურმა ხუთწლედებმა საშუალება მისცეს ჩვენს სამშობლოს მოკლე ვადაში მიეღწია საწარმო ძალების უმაგალითო განვითარებისათვის. საბჭოთა კავშირი ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ და საკოლმეურნეო სახელმწიფოდ, სოციალიზმის ქვეყნად, სადაც სამუდამოდ მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია.

ბოლშევიკური პარტიის გაბედული, რევოლუციური და ბრძნული პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო ჩვენი ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისაკენ, ხორციელდებოდა გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში, სოციალიზმის ყველა და ყოველგვარი მტრების წინააღმდეგ პარტიის მეურიგებელ ბრძოლაში.

„პარტიის დამსახურება, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — იმაში მდგომარეობს, რომ იგი არ ეგუებოდა ჩამორჩენილებს, არ ეშინოდა წინ წასულიყო დინების წინააღმდეგ და მუდამ ინარჩუნებდა წამყვანი ძალის პოზიციას. სავსებით უეჭველია, რომ ასეთი სიმტკიცისა და გამძლეობის გარეშე კომუნისტური პარტია ვერ დაიცავდა ქვეყანას ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკას“.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შედეგად გაიშალა ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

ბოლშევიკური პარტიის, ამხანაგ სტალინის შორსმჭვრეტელმა პოლიტიკამ იხსნა ჩვენი სამშობლო სამამულო ომის მკაცრი განსაცდელის წლებში და უზრუნველყო საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სამამულო ომის წლებში ლენინ-სტალინის პარტია კიდევ უფრო მეტისისხლხორცდა ხალხს, კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მშრომელთა ფართო მასებს, ხალხის წინაშე წარსდგა როგორც ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

საბჭოთა წყობილების ძლიერება, ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკის ყოვლისმძლე ძალა ამჟამად თავს იჩენს მშვიდობიანი მშენებლობის გიგანტურ გაქანებაში. წარმოების ომამდელი დონე ჩვენს ქვეყანაში გადაჭარბებულია, ომისშემდგომი ხუთწლედი ვადამდე სრულდება.

ჩვენი პარტია იმარჯვებდა და იმარჯვებს იმიტომ, რომ იგი შეიარაღებულია მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, იცის, საით წაიყვანოს საქმე, და წინ მიჰყავს იგი წარმატებით.

ბოლშევიკური პარტია ორგანიზებულობის, ერთიანობის, დარაზმულობისა და დისციპლინის ნიმუშს წარმოადგენს.

„ჩვენ, კომუნისტები, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — განსაკუთრებული წყობის ადამიანები ვართ. ჩვენ გამოკვეთილი ვართ განსაკუთრებული მასალისაგან. ჩვენ ისინი ვართ, რომლებიც შევადგენთ უდიდესი პროლეტარული სტრატეგის არმიას, ამხანაგ ლენინის არმიას. არა არის რა იმაზე უფრო მაღალი, ვიდრე ღირსება — ეკუთვნოდე ამ არმიას“.

ლენინ-სტალინის მრავალმილიონიანმა პარტიამ თავის რიგებში გააერთიანა მუშათა კლასის საუკეთესო, მოწინავე ადამიანები, ყოველივე ის, რაც ყველაზე პატიოსანი, ყველაზე შეგნებული და აქტიურია, ყველაზე მამაცი და მტკიცეა საბჭოთა ხალხში. ჩვენს პარტიას არა აქვს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა. ბოლშევიკური პარტია განუყოფელად დაკავშირებულია მასებთან. იგი არა მარტო ასწავლის მასებს, არამედ კიდეც სწავლობს მათგან. მასებთან კავშირი, ამ კავშირის განმტკიცება, მზადყოფნა ყური დაუგდოს მასების ხმას, ამბობს ამხანაგი სტალინი,—აი რაშია ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა და უძლეველობა.

ბოლშევიკური პარტია წინ მიუძღვის მთელ საბჭოთა ხალხს. მუშები, გლეხები, ინტელიგენცია უსაზღვროდ ენდობიან თავიანთ მშობლიურ ბოლშევიკურ პარტიას, ხალისით ანდობენ მას თავიანთ ბედს. პარტია ყველა მშრომელთა წინაშე წარმოსდგება როგორც ჩვენი ეპოქის გონება, ღირსება და სინდისი. კომუნიზმი და ხალხი ჩვენს ქვეყანაში ერთ მთლიანობად შეერთდნენ. საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება აერთიანებს კომუნისტებსა და უპარტიოებს სოციალისტური სამშობლოს სიდიადისათვის ერთსულოვნად მომუშავე საბჭოთა ადამიანების ერთ საერთო კოლექტივად.

ჩვენმა პარტიამ შესანიშნავ წარმატებებს მიაღწია კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა უბანზე. მაგრამ მისთვის უცხოა თავგასულობა, თვითკმაყოფილება და უდარდელობა, რომლებიც გარდუვალად იწვევენ გაყინვას, უძრაობას, რუტინას. კომუნისტური პარტია, როგორც გვასწავლის ამხანაგი სტალინი, არის მებრძოლი, აქტიურად მოაზროვნე, თვითმოქმედი ორგანიზაცია, რომელიც ცოცხლობს მჩქეფარე ცხოვრებით, ანგრევს ძველს და ქმნის ახალს. ბოლშევიკების პარტია ნოვატორთა პარტიაა, იგი დახმარებას უწევდა და უწევს ყოველივე ახალს, მოწინავეს, რაც ცხოვრებაში იბადება, რასაც წინ მივყავართ. იგი ილაშქრებს ყოველივე იმ ჩამორჩენილის, დრომოჭმულის წინააღმდეგ, რაც აფერხებს კომუნიზმისაკენ წინსვლას.

ამხანაგი სტალინი მოუწოდებს საბჭოთა ადამიანებს თავს არ გავიდნენ და განცხრომას არ მიეცნენ, არამედ შეურიგებელნი იყვნენ მუშაობის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. კრიტიკისა და თვითკრიტიკის გარეშე არ არის წინსვლა. კრიტიკა და თვითკრიტიკა საბჭოთა საზოგადოების განვითარების განსაკუთრებული კანონზომიერება და მამოძრავებელი ძალაა, რომელიც აღმოჩენილია სტალინის გენით. კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველმხრივ განვითარება კომუნისტური საზოგადოების წარმატებითი მშენებლობის აუცილებელი პირობაა.

ჩვენ ვცხოვრობთ დიად სტალინურ ეპოქაში, როცა მოხდა მსოფლიო ისტორიის მსვლელობის ის დაჩქარება, რომელზეც ოცნებობდა ლენინი. კომუნიზმის იდეებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით თავდადებულად იბრძვიან სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისა და მისი ძლიერების ზრდისათვის. სტალინის—კომუნისტური საზოგადოების დიდი ხუროთმოძღვრის იდეები აღაფრთოვანებენ საბჭოთა ადამიანებს, მოუწოდებენ მათ ახალი შრომითი გმირობისაკენ. უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით ჩაღდება ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება ამხანაგ სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად. ამ მძლავრ შრომითს აღმავლობაში, ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა მისწრაფებაში—ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ ღირსშესანიშნავ თარიღს — თავს იჩენს საბჭოთა ხალხის მხურვალე სიყვარული დიდი ბელადისა და მასწავლებლისადმი.

აწყობენ და წარმართავენ რა საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს შრომას, კომუნისტური პარტია, ამხანაგი სტალინი ყოველდღიურ მზრუნველობას იჩენენ მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის, მეცნიერების განვითარებისათვის, კულტურის ზრდისა და მშრომელთა მთელი შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის გაფურჩქვნისათვის, ზრდიან მათ კომუნიზმის სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირი მთელი პროგრესული კაცობრიობის ავანგარდში დგას, თავის გარშემო რაზმავს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლთ, ახალი ომის გამაღალებლების წინააღმდეგ მებრძოლთ.

ლენინ-სტალინის გმირული პარტიის გამოცდილება, სსრ კავშირში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის დიადი მაგალითი აღაფრთოვანებს და ასწავლის ყველა ქვეყნის კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, უნათებს მათ გაჭრჯვების გზას. დიდი სტალინის სახელი მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძოლის დროშაა.

დიდ სტალინს კომუნიზმისაკენ მიჰყავს საბჭოთა ხალხი. ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით იზრდება, მტკიცდება და იწრთობა სახელოვანი ბოლშევიკური პარტია, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

„პრავდის“ 19/XII მოწინავე



ი. ბ. სტალინი კითხულობს გაზეთ „ისკრას“. ნახატი მხატვარ ნ. ჟუკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცხრე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცხრე ტომი.

ტომი დასაბეჭდად მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეცხრე ტომი შეიცავს 1926 წლის დეკემბრიდან 1927 წლის ივლისამდე დაწერილ ნაწარმოებებს.

ამ პერიოდში სსრ კავშირის მუშები და გლეხები ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, საკავშირო კ. პ. (ბ) XIV კრებისა და XV კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, განაგრძობდნენ ბრძოლას ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის.

სსრ კავშირის სოციალისტური მეურნეობის განმტკიცებამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იმპერიალისტური სახელმწიფოების ბრძოლისა და ქვეყნის შიგნით სოციალისტური ელემენტების წინააღმდეგ კაპიტალისტური ელემენტების ბრძოლის მკვეთრი გამწვავება.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ „იქმნება ერთიანი ფრონტის მსგავსი რამ ჩემბერლენიდან ტროცკიმდე“.

მოხსენებაში კომინტერნის აღმასკომის VII გაფართოებულ პლენუმზე „ერთხელ კიდევ სოციალ-დემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში“, საბოლოო სიტყვაში მოხსენების გამო, სიტყვებში მოსკოვის XV საგუბერნიო პარტიულ კონფერენციაზე და სტალინის სახელობის რკინიგზის სახელოსნოების მუშათა კრებაზე, სტატიაში „შენიშვნები თანამედროვე თემებზე“ და სხვა ნაშრომებში ი. ბ. სტალინი იცავს და ავითარებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას პარტიის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ძირითადი წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალის შესახებ, ამხილებს მუშათა კლასისა და ბოლშევიკური პარტიის საქმისადმი მტრულ „თეორიებს“ ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის ლიდერებისას და მათს ძირგამომთხრელ საქმიანობას საკავშირო კომუნისტურ პარტიაში (ბ) და კომინტერნში.

ი. ბ. სტალინის ამ ნაწარმოებებში განვითარებულია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის, სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები; ხაზგასმით აღნიშნულია სოციალისტური რევოლუციის ნაციონალური და ინტერნაციონალური ამოცანების ერთიანობა და განუყოფლობა; განსაზღვრულია პარტიის ხაზი საგარეო პოლიტიკის დარგში სსრ კავშირზე ახალი სამხედრო თავდასხმის გაძლიერებული საფრთხის პირობებში და დასახულია საბჭოთა კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ამოცანები.

ნაშრომებში „პარტიის სამი ძირითადი ლოზუნგის შესახებ გლეხობის საკითხში“, „მუშურ-გლეხური მთავრობის საკითხისათვის“, „პროლეტარიატისა და უფარიბესი გლეხობის დიქტატურის ლოზუნგის შესახებ ოქტომბრის მომზადების პერიოდში“ განვითარებულია ლენინური მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შესახებ, ამ კავშირში პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის შესახებ და გაშუქებულია საბჭოთა სახელმწიფოს და საბჭოთა მთავრობის კლასობრივი არსი.

მეცხრე ტომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს 1925-1927 წლებში ჩინელი ხალხის რევოლუციურ-დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მამოძრავებელი ძალებისა და განვითარების პერსპექტივების ანალიზისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს. ამ ნაშრომებს ეკუთვნის: „ჩინეთის რევოლუციის საკითხები“, „საუბარი სუნ იატ-სენის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებთან“, „რევოლუცია ჩინეთში და კომინტერნის ამოცანები“ და სხვ.

ტომში პირველად ქვეყნდება ი. ბ. სტალინის წერილები ქსენოფონტოვისადმი, ზაიცევისადმი, შინკევიჩისადმი, ჩუგუნოვისადმი, ცვეტკოვისა და ალიპოვისადმი, პოკროვსკისადმი.

წიგნის ტირაჟია 35 ათასი ეგზემპლარი. (საქდესი).

ი. ბ. სტალინის ნაწარმოები „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ ქართულ ენაზე

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ახალი გამოცემა ი. ბ. სტალინის გენიალური ნაშრომისა „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“.

წიგნი დასაბეჭდად მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა. (საქდესი).

წიგნი „იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია“ ქართულ ენაზე

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობამ გამოუშვა ქართულ ენაზე თარგმნილი მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა წიგნისა „იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი. მოკლე ბიოგრაფია“.

წიგნი დასაბეჭდად მოამზადა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

წიგნის ტირაჟია 35 ათასი ეგზემპლარი. (საქდესი).

ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა გამოცემა ქართულ ენაზე

საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატამ შეაჯამა 1921 წლიდან 1949 წლის 1 დეკემბრამდე საქართველოში ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა გამოცემის შედეგები. საქართველოში გამოვიდა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა 361 გამოცემა 5.941.300 ეგზემპლარი საერთო ტირაჟით.

ქართულ ენაზე გამოცემულია ამხანაგ ი. ბ. სტალინის თითქმის ყველა ნაშრომი. ექვსჯერ გამოიცა ნაშრომი „ლენინიზმის საკითხები“, რომელიც გამოვიდა 108 ათასი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით. ოთხჯერ გამოიცა კრებული ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოებებისა „ლენინის შესახებ“. დიდი ტირაჟით გამოიცა „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორია. მოკლე კურსი“. ეს წიგნი გამოვიდა აგრეთვე აფხაზურ და ოსურ ენებზე.

ნახევარ მილიონზე მეტ ეგზემპლარს შეადგენს საერთო ტირაჟი ამხანაგ ი. ბ. სტალინის მოხსენებისა „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“, რომელიც არა ერთხელ იქნა გამოცემული ქართულ ენაზე.

ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაშრომი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ გამოვიდა ხუთჯერ 125 ათასი ეგზემპლარი საერთო ტირაჟით.

ქართულ ენაზე გამოცემულია ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებთა 11 კრებული.

დიდი ტირაჟებით გამოიცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი „წერილები კავკასიიდან“, „წითელი არმიის სამი თავისებურების შესახებ“, ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვები ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებებზე 1937 წლის 11 დეკემბერს და 1946 წლის 9 თებერვალს, ნაშრომები „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“, „ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა“, „დიადი გარდატეხის წელი“, „თავბრუდახვევა წარმატებებისაგან“, „ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივების შესახებ“ და სხვები.

საქართველოს მშრომელთა ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენს ი. ბ. სტალინის თხზულებათა გამოცემა ქართულ ენაზე. გამოვიდა თხზულებათა ცხრა ტომი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა საბჭოთა ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო დაწესებულებებს, უცხო სახელმწიფოებში სსრ კავშირის საელჩოებს, მისიებს, საკონსულოებსა და სავაჭრო წარმომადგენლობებს ა. წ. 21 დეკემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით თავიანთ შენობებზე, რკინიგზის სადგურებზე, წყლის ნავმისადგომებსა და სამდინარო ვაგზლებზე, სსრ კავშირის სამხედრო და სავაჭრო ფლოტის გემებზე და საცხოვრებელ სახლებზე აღმართონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ალმი.

მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვს ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობენ ვილკო ჩერვენკოვი, გიორგი ჩანკოვი და მინჩო ნეიჩევი.

სტუმრებს შეხვდნენ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ბულგარეთის საელჩოს-წევრები სსრ კავშირში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ქ-ნ ს. ბლაგოევას მეთაურობით. (საქდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით 18 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობენ ბ-ნები ვალტერ ულბრიხტი და გეორგ დერტინგერი.

ჩამოსულთ შეხვდნენ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ შექმნილი კომიტეტის წარმომადგენლები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საქალაქო საბჭოს, დედაქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე მეთაური გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიისა სსრ კავშირის მთავრობასთან ბ-ნი რ. აპელტი. (საკდესი).

ზეიმი გორში

გორი, (სპეც. კორ.). რკინიგზის სადგურის ფასადზე წითელი დროშები ფრიალებენ. უკრავს სასულე ორკესტრი. გორელები საზეიმო მეხვედრებს უწყობენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ექსკურსანტებს.

ყოველ კვირა დღეს გორში ზეიმიაო, ამბობენ აქაურები. ისეთი ზეიმი კი, როგორიც კვირას, 18 დეკემბერს იყო, აქ კარგა ხანია, არ ყოფილა. დილადანვე ქუჩები ხალხით გაივსო. ექსკურსანტები, რომელთაც სახეებზე ბედნიერების ღიმილი აღბეჭდოდათ, სიმღერებით უახლოვდებოდნენ ბელადის სახლს.

10 ათასზე მეტი კაცი გაემართა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმისაკენ. აქ იყვნენ ტყიბულის მაღაროელები, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის, ბორჯომის სატყეო ტექნიკუმის, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კიროვის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტები, ქუთაისისა და ერევნის ფეხსაცმლის ფაბრიკათა სტახანოველები, სამტრედიელი და სტალინირელი მოსწავლეები, თბილისის საწარმოთა — სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო, 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი და ავტოსარემონტო ქარხნების, ქარხანა „დაზგის“, მაუდკამვოლის ფაბრიკის მოწინავე ადამიანები...

გალის რაიონის მშრომელთა ჯგუფში არიან სოციალისტური შრომის გმირები—ჩაისა და სიმინდის უხვი მოსავლის ოსტატები — ე. ბულისკერია, ე. ჭავა, დ. ახვლედიანი, ტ. ახუბაია, ბ. თუნგია, ვ. მიქავა, ს. ჯუმუთია, ლ. სიმოჩავა და მრავალი სხვა.

აქვე არიან ზესტაფონის რაიონის მოწინავენიც, მათ შორის სოციალისტური შრომის გმირი, მევენახეობის რგოლის ხელმძღვანელი თამარ წითელაშვილი.

მეორე დღესაც, 19 დეკემბერს, დიდძალი ხალხი ესტუმრა გორს. სოხუმის რაიონის მშრომელთა დელეგაციაში იყვნენ თამბაქოს უხვი მოსავლის ოსტატები, სოციალისტური შრომის გმირები—ა. აშკარიანი და ლ. ნარსია, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოფელ ბესლეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური პ. ბერულავა. სოციალისტური შრომის გმირები და ორდენოსნები მოვიდნენ მახარაძის, ცხაკაიასა და გაგრის რაიონებიდანაც.

გაგრის რაიონის კოლხიდის სასოფლო საბჭოს მოწინავე ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. ოგანიანმა, რომელმაც გასულ წელს ექვსი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 20 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა, გაგვაცნო წლევანდელი მიღწევებიც. წელს გმირი ბრიგადირი გორში ჩამოვიდა ახალი საამაყო წარმატებით — 7,5 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 21 ცენტნერი თამბაქო მოიწია. აქ შევხვდით აგრეთვე სოციალისტური შრომის გმირებს—ზინა აგუეტას, რომელმაც წელს 3 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 21,5 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა, ვალდემარ რომს და სხვ.

გორში ყველაფერს სადღესასწაულო ელფერი ადევს. გორი ზეიმობს. ამას ამოიკითხავთ გორელ პიონერთა გაღიმებულ სახეებშიც, მტკვრის ხიდის მაღალ სვეტებზე ჩამოკიდებულ ნაირფერად მოელვარე ელნათურებშიც, გორის ციხის ძველისძველი კედლების თავზე დამაგრებულ ხუთქიმიან დიდ ელექტროვარსკვლავშიც, რომლის ქვემოთ ლამაზად კაშკაშებს ციფრი — „70“.

გეგმა ვადამდე შეასრულეს

საქართველოს საკონსერვო ტრესტის საწარმოებმა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი წარმოების დონის მიხედვით შეასრულეს ოთხ წელიწადში.

15 დეკემბრისათვის ტრესტის საწარმოებმა უცვლელ ფასებში გამოუშვეს 24.782.000 მანეთის საერთო პროდუქცია, ნაცვლად ხუთწლედის უკანასკნელი წლის გეგმით გათვალისწინებული 23.738.000 მანეთის პროდუქციისა.

გამოშვებულია 39.221.000 ქილა კონსერვი, ნაცვლად 1949 წლის გეგმით გათვალისწინებული 38.000.000 და 1950 წლისათვის დაგეგმილი 39.000.000 ქილა კონსერვისა.

გასაცემი ფასების მიხედვით 1949 წლის გეგმა შესრულებულია 110 პროცენტით.

საქართველოს საკონსერვო მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა იკისრეს 1949 წლის ბოლომდე დამატებით გამოუშვან 1.500.000 ქილა სხვადასხვა კონსერვი.

ქარელისა და ჩხოროწყუს რაიონების კოლმეურნეობებმა შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების 1949 წლის გეგმა

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა შეასრულეს 101,2 პროცენტით, მათ შორის ძროხისა და ფურკამეჩისა — 102,8 პროცენტით.

ცხვრისა და თხის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 106,4 პროცენტით, ღორისა—150,0 პროცენტით, ცხენისა—102,4 პროცენტით და ფრინველისა—102,4 პროცენტით.

ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეობებმა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმა შეასრულეს 101,0 პროცენტით, მათ შორის ძროხისა და ფურკამეჩისა—102,5 პროცენტით.

ცხვრისა და თხის სულადობის ზრდის გეგმა შესრულებულია 103,0 პროცენტით, ღორისა — 111,4 პროცენტით, ცხენისა—105,7 პროცენტით და ფრინველისა—101,5 პროცენტით.

ი. გრიშაშვილი

გ ო რ ი

გორო, ქართლის შუაგულო,
მეთაურო ქართლისაო,
ადრე ღირსად წამებულო,
დღესაც მთქმელო მართლისაო.
(აკაკის ლექსიდან „მესტვირული“)

აკაკიმ ერთი ლექსით დაგწინდა,
მართალ ქალაქად დაგსახა, გორო!
ო, როგორ მინდა, ვნახო მთაწმინდა,
საფლავის ლოდი გადავაგორო

და ვუთხრა მგოსანს: აყვავდა ქართლი,
გორს სიხარულის ხმები მოედო,
ახალ სალამურს სხვაგვარად გასთლი,
დღეს რომ ცოცხალი იყო, პოეტო!

1949 წ. დეკემბერი.

მეშახტეთა სტახანოვური შრომის ნაყოფი

ტყვარჩელი. (საკ. კორ.). ტყვარჩელელი მეშახტეები თავდადებით შრომობენ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. მოწინავე უბნები და ბრიგადები გეგმის გადამეტებით იღებენ ათასობით ტონა ქვანახშირს.

სტალინის სახელობის შახტის მეოთხე უბნის ლ. ლატარაიას ბრიგადა ცვლაში გეგმის გადამეტებით იღებს 60-80 ტონა ქვანახშირს. ბრიგადამ დეკემბერში გეგმის გადამეტებით უკვე ამოიღო 870 ტონა სამობრი. მეხუთე უბნის ამწეშენდთა ბრიგადას, რომელსაც ქვანახშირის ოსტატი ს. სვინარევი ხელმძღვანელობს, თვიური გეგმის გადამეტებით ამოღებული აქვს 270 ტონა ქვანახშირი.

სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა მწარმოებელ უბნებს შორის განსაკუთრებით დაწინაურდა ხ. ხუნტუას უბნის კოლექტივი, რომელმაც წლიური გეგმა 6 დეკემბრისათვის გაანაღდა და გეგმის გადამეტებით გაიყვანა 100 გრძივმეტრი წოლხვრელი.

ტყვარჩელელ მეშახტეებს გადაწყვეტილი აქვთ დეკემბერში თვიური გეგმის გადამეტებით ამოიღონ დიდძალი ქვანახშირი.

მძღავრი შრომითი აღმავლობა

თელავი. (სპეც. კორ.). ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მზადების დღეებში რაიონის მშრომელებმა ახალი წარმატებანი მოიპოვეს. წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, რომელსაც რვა სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს, ვენახის საშემოდგომო სამუშაოები დროულად შეასრულა. მთელ ფართობზე შეტანილია მინერალური, ხოლო 50 ჰექტარზე ორგანული სასუქი. ამ მეურნეობაში წელს ყურძნის სამუალო მოსავალმა ჰექტარზე 70 ცენტნერს მიაღწია.

ვენახების დამუშავებაში თავი გამოიჩინეს სოციალისტური შრომის გმირებმა აგრონომებმა ლ. არსენიშვილმა, დ. სავანელმა, ბრიგადირებმა რ. სავანელმა, ბ. ბატიაშვილმა, მევენახემ ანტონინა იგნატოვამ, მერგოლურმა ი. ბაღათრიშვილმა. ამ საერთო წარმატებაში დიდი წილი უდევს უფროს აგრონომს, სოციალისტური შრომის გმირს ამხ. ი. ბოლქვაძეს.

ვენახში უკვე გადაწვენილია 9.760 ძირი ვაზი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8.000 ძირისა. 1950 წლისათვის ვენახის გასაშენებლად მოამზადეს 16 ჰექტარი. მეურნეობის კოლექტივი ამთავითვე უყრის მტკიცე საფუძველს მომავალი წლის უხვ მოსავალს. წინანდლელები პირობას დებენ 1950 წელს მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 75 ცენტნერი ყურძენი.

სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეს“ 178 ჰექტარი ვენახი აქვს, კოლმეურნეობას 3 გმირი ჰყავს. აკურელმა მევენახეებმა მთლიანად დაამთავრეს ვენახის ძირების გამობარვა და გამოთოხნა, შტამბების გასუფთავება. მოხნულია 125 ჰექტარი, გაშენებულია სადედე ვაზი 2 ჰექტარზე, ვენახში ჩამატებულია 13.430 ძირი ვაზი. წელს გაიყვანეს სარწყავი არხი, რომელიც 160 ჰექტარს მორწყავს.

ამ სასიხარულო დღეებში აკურელებმა დაიწყეს დაწყებითი სკოლის მშენებლობა, ხოლო აბანოს მშენებლობა უკვე დაამთავრეს. სოფელი გაჩირაღდნებულია ილიჩის ნათურებით. 21 დეკემბრისათვის კოლმეურნეობას ექნება საკუთარი რადიოკვანძი. აკურელებმა ვალდებულება იკისრეს გაშენონ კულტურისა და დასვენების პარკი. სათანადო ადგილი გამოყოფილია და მუშაობაც დაიწყეს.

კოლმეურნეობამ შეასრულა მეცხოველეობის განვითარების გეგმა. გადაჭარბებით შესრულდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები. აკურელებმა 1950 წლის ანგარიშში ჩააბარეს 9.000 ლიტრი რძე, 3 ტონამდე ხორცი და სხვ.

სოფელ ქვემოხოდაშნის, კონდოლის, გულგულის კოლმეურნეთა სახლებს ამ დღეებში გაანათებს ილიჩის ნათურები.

კოლმეურნეები საჩუქრებს უმზადებენ სამშობლოს

ჩვენი რაიონის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით ეგებებიან მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავს.

გურიის გლეხთა რევოლუციური მოძრაობა და გურიაში პირველი ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნა დაკავშირებულია დიდი სტალინის სახელთან. რუსეთის პირველი რევოლუციის მძლავრი აღმავლობის პერიოდში, 1905 წლის ზაფხულში ამხანაგი სტალინი ბათუმიდან ჩამოვიდა ჩოხატაურში და ჯერ სოფელ შუაფარცხმაში, ხოლო შემდეგ ხიდისთავსა და სხვა ადგილებში საჯარო დისკუსიაზე გამოვიდა მენშევიკების წინააღმდეგ. თავისი რკინისებური ლოგიკით ამხანაგმა სტალინმა დაიცვა ლენინური ბოლშევიკური შეხედულებანი რევოლუციის ყველა ძირითად საკითხში, ნიღაბი ახადა მენშევიკებს და გურიის მშრომელებს უჩვენა ცარიზმისა და მემამულეთა უღლისაგან განთავისუფლების გზა. ძველი ბოლშევიკები სეფე ცინცაძე (პარტიის წევრი 1904 წლიდან), ასალო ცინცაძე (პარტიის წევრი 1905 წლიდან), კონსტანტინე ცინცაძე (პარტიის წევრი 1904 წლიდან) და სხვები, რომლებიც ესწრებოდნენ ამ დისკუსიებს, ამჟამად სიხარულით იგონებენ მას და მოუთხრობენ კოლმეურნეებს წარსულის ამ შესანიშნავ დღეებზე.

რაიონის მშრომელთა სურვილით 1905 წლის ამ ღირსსახსოვარი დღეების მოსაგონებლად სოფელ ხიდისთავში, ცნობილ ჭანდართან, სადაც გაიმართა დისკუსია, დაიდგმება ობელისკი ასეთი წარწერით: „დიდი სტალინი, საკავშირო კ. პ. (ბ) ბელადი და მთელი მსოფლიოს მშრომელთა მასწავლებელი, აქ, 1905 წლის ზაფხულში საჯარო დისკუსიაზე სიტყვით გამოვიდა მენშევიკების წინააღმდეგ“.

მიმდინარე წლის 18 დეკემბერს სოფელ ხიდისთავში, სწორედ იმ ჭანდრის ხესთან, სადაც სიტყვა წარმოთქვა ი. ბ. სტალინმა, გაიმართა რაიონის მშრომელთა მიტინგი, მიძღვნილი დიდი ბელადის დაბადების 70 წლისთავისადმი. მიტინგზე მოგონებით გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები. მეზნებარე, პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს კოლმეურნეებმა, მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა. მათი სიტყვები გამსჭვალული იყო ბელადისადმი უსაზღვრო სიყვარულით. — ჩვენ, — აღნიშნავდნენ ისინი, — უფრო ღრმად შევისწავლით დიდი სტალინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას, სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიას და ჩვენი დიადი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ვიმუშავებთ ისე, როგორც ამას ბელადი გვასწავლის.

რაიონის პატიოსანი და ერთგული ბოლშევიკები, რომლებიც დაუღალავად სწავლობენ ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიას, ვ. ი. ლენინის და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიებს, საფუძვლიანად ეცნობიან სტალინურ ისტორიულ ადგილებს და აღფრთოვანებით ათვალიერებენ გამოფენას, რომელიც ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო პარტიულ კაბინეტში, კულტურის სახლში, სასოფლო კლუბებში და სამკითხველოებში.

კოლმეურნეობებში რაიკომის ლექტორ-მომხსენებლებმა წაიკითხეს მოხსენებანი თემებზე: „სტალინი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი და მასწავლებელი“, „სტალინი — ლენინის საქმის დიდი განმგრძობი“, „სტალინი — საკოლმეურნეო წყობილების შემოქმედი“ და სხვ.

რაიონში არ არის არც ერთი მუშა, მოსამსახურე, ინჟინერ-ტექნიკოსი და კოლმეურნე, რომელსაც კონკრეტული ვალდებულება არ ეკისრებინოს დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად. ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 21 დეკემბრისათვის დაამთავროს ფაბრიკის მთავარი კორპუსის მშენებლობა, ელექტროსადგურისა და მზა პროდუქციის საამქროს მანქანა-დანადგარების რემონტი და სხვ. სტახანოვურ ვახტზე დადგნენ ადგილობრივი მრეწველობის, საგრენაჟო ქარხნის, ჰიდროელექტროსადგურის მუშები. გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს რაიონის კოლმეურნეობებშა და კოლმეურნეებმა. მათ თამბაქოს ჩაბარების წლიური გეგმა ვადაზე ადრე შეასრულეს და ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით დაემზადებინათ 30 ტონა თამბაქო. ეს ვალდებულება შესრულებულია 17 დეკემბრისათვის. თამბაქოს ჩაბარება გრძელდება. კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს 21 დეკემბრისათვის უზრუნველყონ: 600 ჰექტარი ჩაის პლანტაციის დაბარვა, გადაჭარბებით შეასრულონ ჩაის ნიადაგის მომზადების, ახალი არხების გაყვანისა და არსებულის რემონტის დავალებანი. ვალდებულებათა შესრულებისათვის გაჩაღებულია მუშაობა.

ჩვენი რაიონის კოლმეურნეობები ამაყობენ ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურებით, უფრო კეთილმოწყობილი ხდება დაბა ჩოხატაური და სასოფლო საბჭოების ცენტრები, ყოველდღიურად იზრდება კოლმეურნეთა შეძლებულობა. რაიონის მშრომელები, ემზადებიან რა დიდი ბელადის დაბადების 70 წლისთავის შესახვედრად, ღირსეულ საჩუქრებს უმზადებენ სამშობლოს.

შ. ჯანუყვაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მდივანი

სოციალისტური შრომა მილიონთა შემოქმედებაა

30 წლის წინათ, 1919 წლის 20 დეკემბერს, ვ. ი. ლენინმა რ. კ. პ. (ბ) მოსკოვის საერთო საქალაქო კონფერენციაზე გააკეთა მოხსენება პირველ შაბათობათა მესახებ. ამ მოხსენებაში პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადი ავითარებს იმ დებულებებს, რომლებიც მან ჩამოაყალიბა კონფერენციამდე რამდენიმე თვის წინათ დაბეჭდილ თავის გენიალურ შრომაში „დიადი დასაწყისი“.

ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანა მაშინ მძიმე დღეებს განიცდიდა. მას გაფორებით უტევდნენ ანტანტის ძალები და რუსეთის შინაური კონტრრევოლუცია, რომლებიც ცდილობდნენ აღედგინათ მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა. წითელარმიელებს, მუშებსა და გლეხებს, რომლებიც მკერდით იცავდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, აკლდათ სურსათი, სამაცრი იარაღი, ტყვიაწამალი, „მაგრამ მუშათა კლასი გულს არ იტეხდა. გულს არ იტეხდა ბოლშევიკების პარტია. ამ პერიოდის უდიდესმა სიძნელეებმა და მათთან თავგამოდებულმა ბრძოლამ ცხადყვეს, თუ რა დაუშრეტელი ენერგიაა მუშათა კლასში და რამდენად დიდი, განუზომელია ბოლშევიკური პარტიის ავტორიტეტის ძალიერება“ (საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 296).

1919 წლის 12 აპრილს აღმოსავლეთის ფრონტზე შექმნილ მძიმე მდგომარეობასთან დაკავშირებით „პეტროგრადსკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა ლენინის „წერილი პეტროგრადის მუშებისადმი“. იმავე დღეს „პრავდამ“ დაბეჭდა „რ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თეზისები აღმოსავლეთის ფრონტის მდგომარეობასთან დაკავშირებით“. კარზე მომდგარი დიდი საფრთხის ჟამს ბოლშევიკების პარტია და დიდი ლენინი მუშათა კლასისაგან, გლეხობისაგან, ყველა მშრომელისაგან მოითხოვდნენ თავიანთი ძალების უაღრესად დაძაბვას. თეზისებში ნათქვამი იყო: „ცენტრალური კომიტეტი პარტიის ყველა ორგანიზაციას და ყველა პროფესიულ კავშირს მიმართავს თხოვნით რევოლუციურად შეუდგნენ მუშაობას და არ დასჯერდნენ ძველ შაბლონებს“ (ვ. ლენინი, თხზ. ტ. XXIV, გვ. 226).

ბოლშევიკების პარტიის მგზნებარე მოწოდებამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა მშრომელებში, საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად ბრძოლისათვის აღაფრთოვანა ისინი.

„რევოლუციურად მუშაობის“ პირველი ძაგალითი უჩვენეს მოსკოვ-ყაზანის რკინიგზის მუშებმა, რომლებმაც ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება „მთელ ქვერაიონში შემოეღოთ კომუნისტური შაბათობანი კოლჩაკზე სრულ გამარჯვებამდე“. მოსკოვ-ყაზანის რკინიგზელთა ინიციატივა ელვის სისწრაფით მოედო მოსკოვისა და პეტროგრადის საწარმოებს, მთელ ჩვენს ქვეყანას. 10 მაისს შაბათობაზე გამოვიდა მოსკოვის კვანძის ყველა მუშა. ამ დღეს მუშებმა ჩვეულებრივზე 270 პროცენტით მეტი სამუშაო შეასრულეს და სახელმწიფოს დაუზოგეს 5 მილიონ მანეთზე მეტი.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა ერთსულოვანი დარაზმულობისა და ბოლშევიკური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის მეოხებით კონტრრევოლუციური ჯარები დამარცხებულ იქნენ, განადგურებულ იქნა კოლჩაკი, დაძლეულ იქნა ბურჟუაზიის საბოტაჟი. კომუნისტური შაბათობები მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა გახდა. „ეს დასაწყისია ბურჟუაზიის დამხობაზე უფრო საძნელო, უფრო არსებითი, უფრო ძირეული, უფრო გადამწყვეტი გადატრიალებისა, — წერდა ლენინი,—ვინაიდან ეს არის გამარჯვება საკუთარ უძრაობაზე, თავაშვებულობაზე, წვრილბურჟუაზიულ ეგოიზმზე, იმ ჩვეულებებზე, რაც წყეულმა კაპიტალიზმმა მემკვიდრეობად დაუტოვა მუშასა და გლეხს. როდესაც ეს გამარჯვება განმტკიცდება, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიქმნება ახალი საზოგადოებრივი დისციპლინა, სოციალისტური დისციპლინა, მაშინ და მხოლოდ მაშინ გახდება შეუძლებელი უკან, კაპიტალიზმისაკენ დაბრუნება და კომუნიზმი ჭეშმარიტაო უძლეველი გახდება“ (ვ. ლენინი, თხზ. ტ. XXIV, გვ. 329).

კომუნისტური შაბათობები წარმოადგენდნენ ბრომის ნაყოფიერების გადიდებისადმი მუშათა შეგნებული დამოკიდებულების დიად დასაწყისს, ახალ დისციპლინაზე გადასვლის დასაწყისს, სოციალისტური შეჯიბრების პირველსახეს, შრომის კომუნისტური ორგანიზაციის ჩანასახს. კომუნისტური შაბათობები, ლენინის სიტყვით კომუნიზმს ახორციელებდნენ საქმით.

საზოგადოებრივი შრომის ბატონყმური ორგანიზაცია ემყარებოდა ჯოხის დისციპლინას, როცა ყოველმხრივ დაბეჩავებულ, დამონებულ მშრომელებს ძარცვავდნენ და დასცინოდნენ ერთი მუჭა მემამულეები; საზოგადოებრივი შრომის კაპიტალისტური ორგანიზაცია ემყარება შიმშილის დისციპლინას, როცა მშრომელთა უდიდეს მასას ძარცვავენ და სასაცილოდ იგდებენ ერთი მუჭა კაპიტალისტები. კაპიტალიზმის დროს ყველაზე მეტი მოწონება იმას აქვს, ვინც თვითონ არ მუშაობს, ვინც სხვისი შრომის მითვისებით, რენტით, პროცენტებით ცხოვრობს. შრომა კაპიტალისტურ საზოგადოებაში სამარცხვინო საქმედ ითვლება.

საზოგადოებრივი შრომის კაპიტალისტური და წინაკაპიტალისტური ორგანიზაციისაგან განსხვავებით, აღნიშნავს ლენინი, საზოგადოებრივი შრომის კომუნისტური ორგანიზაცია „ემყარება და რაც მეტი ხანი გავა, მით უფრო მეტად დაემყარება თვით მშრომელთა თავისუფალ და შეგნებულ დისციპლინას, რომლებმაც დაამხეს, როგორც მემამულეთა, ისე კაპიტალისტთა უღელი“ (ვ. ლენინი, თხზ. ტ. XXIV, გვ. 336).

მოხსენებაში „კომუნისტური შაბათობების შესახებ“ ლენინი ხაზგასმით აღნიშნავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს როლს შრომის ახალი, უფრო მაღალი საზოგადოებრივი ორგანიზაციის შექმნის საქმეში. „სოციალიზმი არის ის საზოგადოება,—ამბობს ლენინი,—რომელიც უშუალოდ კაპიტალიზმიდან იზრდება. სოციალიზმი ახალი საზოგადოების პირველი სახეა... სოციალიზმი გულისხმობს კაპიტალისტთა დაუხმარებლად მუშაობას, საზოგადოებრივ შრომას მშრომელთა ორგანიზებული ავანგარდის, მოწინავე ნაწილის მხრივ მკაცრი აღრიცხვით, კონტროლით და ზედამხედველობით“. (იქვე. გვ. 651).

წერილში „როგორ მოვაწყოთ სოციალისტური შეჯიბრება“ ვ. ი. ლენინი წერდა: „რომ მოვაწყოთ ეს აღრიცხვა და კონტროლი, რაც **სავსებით ხელმისაწვდომია,** და რაც სავსებით შეუძლია ყოველ პატიოსან, გაგებულ, თადარიგიან მუშასა და გლეხს,—საჭიროა გამოვიყვანოთ ცხოვრების ასპარეზზე მათი საკუთარი, მათი წრიდან წარმოშობილი ორგანიზატორული ტალანტები, საჭიროა გავაჩაღოთ მათ შორის — და ეს მოვაწყოთ საერთოსახელმწიფოებრივი მასშტაბით — **შეჯიბრება** ორგანიზატორული წარმატების სფეროში“. (ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. V, გვ. 314, რუსული გამ.).

ხელმძღვანელობდა რა დიდი ლენინის მითითებით, ჩვენმა პარტიამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით შექმნა სოციალიზმის ქვეყნის შესაფერი შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, მოაწყო სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც მასების უდიდეს მოძრაობად გადაიქცა. სოციალისტური შეჯიბრება ის მძლავრი ბერკეტი აღმოჩნდა, რომლის მეოხებითაც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა და გლეხობამ ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულეს სტალინური ხუთწლედები და უმოკლეს დროში ჩვენი სამშობლო მძლავრ ინდუსტრიულ და საკოლმეურნეო ქვეყნად გადააქციეს.

ამხანაგმა სტალინმა სოციალისტური შეჯიბრება განსაზღვრა, როგორც სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი, როგორც მასების საქმიანი, რევოლუციური თვითკრიტიკა. სოციალისტურმა შეჯიბრებამ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ დანერგა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება. სოციალისტური შეჯიბრება, ამბობს ამხანაგი სტალინი, „ძირეულ გარდატეხას ახდენს ადამიანთა შეხედულებაში შრომაზე, ვინაიდან ის შრომას სათაკილო და მძიმე ტვირთიდან, როგორც მას თვლიდნენ წინათ, ჰდის **ღირსების** საქმედ, **დიდების** საქმედ. **სიმამაცისა** და **გმირობის** საქმედ“ (ი. სტალინი, „ლენინიზმის საკითხები“, მე-10 გამ. გვ. 467).

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებამ, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მოწინავე ტექნიკით აღჭურვამ, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის ძირფესვიანად გაუმჯობესებამ, სოციალისტური კულტურის აღმავლობამ გამოიწვია სოციალისტური შეჯიბრების ახალ ეტაპზე—სტახანოვურ მოძრაობაზე გადასვლა.

ისე როგორც ლენინმა გენიალური გამჭრიახობით დაინახა პირველ შაბათობებში კომუნიზმის პირველი ყლორტები, ამხანაგმა სტალინმა სტახანოვური მოძრაობის ჩასახვისთანავე იწინასწარმეტყველა ამ მოძრაობის უდიდესი მომავალი. ამხანაგმა სტალინმა გვიჩვენა, რომ სტახანოვური მოძრაობა უდიდესი მასშტაბით ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, ქმნის წანამძღვრებს ფიზიკური და გონებრივი შრომის წინააღმდეგობის ლიკვიდაციისათვის და კაფავს გზას კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასასვლელად. სოციალისტური შეჯიბრების უდიდესი ძალა მთელი სიცხადით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის დროს. საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგად, მიუხედავად ომით გამოწვეული უდიდესი სიძნელეებისა, მწყობრად და რიტმულად მუშაობდა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობა, რამაც უზრუნველყო ბრწყინვალე გამარჯვება ფაშიზმისა და რეაქციის ძალებზე.

დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა ხალხი მთელი ძალ-ღონის დაძაბვით შეუდგა მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმის—ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ხუთწლედის შესრულებას. ამჟამად, როცა ბოლშევიკების პარტიის მეთაურობით, დიდი სტალინის წინამძღოლობით უკვე მთავრდება ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები, სოციალისტური შეჯიბრება კიდევ უფრო ფართო ხასიათს იღებს, ვლინდება მისი ახალი ფორმები. სოციალისტური შეჯიბრება ახალი ძალით გაიშალა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად. ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი საწარმოები ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებს დიდი ბელადის დაბადების დღის — 21 დეკემბრისათვის ასრულებენ.

შრომა დიდებითაა მოსილი ჩვენს ქვეყანაში. მისი უდიდესი მნიშვნელობა აღნიშნულია სტალინურ კონსტიტუციაში და განმტკიცებულია საკანონმდებლო წესით. შრომის უფლება გარანტირებულია სამუშაოს მიღებით და შრომის ანაზღაურებით რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. და თუ მშრომელი „კარგად მუშაობს და საზოგადოებას აძლევს იმას, რისი მიცემაც შეუძლია, ის შრომის გმირია, იგი დიდებითაა შემოსილი“. (ი. სტალინი).

საბჭოთა მთავრობამ შემოიღო წარჩინების უმაღლესი ხარისხი — დაარწესა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და მედლები „შრომითი წარჩინებისათვის“ და „შრომითი მამაცობისათვის“. ეს სოციალიზმის პრინციპების ზეიმია, იგი მოწმობს შრომის გადაქცევას საზოგადოებრივ მოღვაწეობად, შრომის გადამწყვეტ მნიშვნელობას სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში. საბჭოთა მთავრობის ამ გადაწყვეტილებამ ახალი შრომითი ამოძავლობა გამოიწვია მთელ ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სატრანსპორტის, მეცნიერებისა და ტექნიკის ათასობით ადამიანს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს თავიანთი შრომით, ნოვატორობით, ახალი აღმოჩენებით, ახალი ტექნიკის შექმნითა და დანერგვით. ამჟამად მარტო საქართველოს სოფლის მეურნეობას 768 სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს.

* * *

30 წლის წინათ, როცა დიდი ლენინი კომუნისტური შაბათობების შესახებ ლაპარაკობდა, კომუნიზმი ჯერ კიდევ საკმაოდ შორეული მომავლის საქმე იყო. ამჟამად კომუნიზმი აღარ წარმოადგენს შორეული მომავლის საქმეს. ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მეთაურობით ჩვენ უკვე ავაშენეთ კომუნიზმის პირველი ფაზა — სოციალიზმი და წარმატებით მივდივართ წინ, სრული კომუნიზმისაკენ. ლენინ-სტალინის ძლევამოსილი იდეები აღაფრთოვანებენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მაგალითის მიხედვით აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას. ეს იდეები კაპიტალიზმის უღლისაგან განთავისუფლების გზას უჩვენებენ მთელი მსოფლიოს მშრომელებს.

გ. სიხარულიძე

ქართველ მხატვართა თვალსაჩინო წარმატება

გაიხსნა გამოფენა, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი

საქართველოს მხატვართა გალერიაში გაიხსნა ქართველი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა, მიძღვნილი დიდი სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი.

1936 წელს ამხანაგ ლავრენტი ბერიას ინიციატივითა და უშუალო ხელმძღვანელობით ქართველმა მხატვრებმა წამოიწყეს დიდი მუშაობა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის თემაზე მაღალიდეურ ნაწარმოებთა შესაქმნელად. ეს იყო გარდატეხის მომენტი ქართულ საბჭოთა მხატვრობაში. ამ დიადი თემით შთაგონებულმა ქართველმა მხატვრებმა მრავალი თვალსაჩინო სურათი შექმნეს და საბჭოთა ხელოვნება მაღალიდეური ნაწარმოებებით გაამდიდრეს.

ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი და ლ. პ. ბერია ბავშვებთან

ნახატი ა. გიგოლაშვილისა

ქართველი მხატვრები წლების მანძილზე ავითარებდნენ ამ შესანიშნავ ტრადიციას, იღრმავებდნენ ცოდნას, რათა ღირსეულად აესახათ ჩვენი დიადი, მრავალფეროვანი ცხოვრება.

ჩვენი მხატვრების შემოქმედებითი ძალებისა და მხატვრული ოსტატობის ზრდის აშკარა დადასტურებას წარმოადგენს მათ ნაწარმოებთა ახალი გამოფენა, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა ხალხის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი.

როგორც სასიხარულო ფაქტი, აღსანიშნავია ქართველ მხატვართა ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გაბედული გამოსვლა ფართო შემოქმედებითს ასპარეზზე. ახალგაზრდა ფერმწერების, გრაფიკოსებისა და მოქანდაკეების ნაწარმოებები განირჩევიან გარკვეული პროფესიული ოსტატობით, მოვლენათა თანადროულად აღქმის უტყუარი გრძნობით.

გამოფენაზე წარმოდგენილია ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და კერამიკის 198 ნიმუში. ნაწარმოებთა უმრავლესობა მიძღვნილია უშუალოდ დიდი ბელადისა და მასწავლებლის ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობისადმი.

ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა საქართველოში ქართველი მხატვრებისათვის მეტად ორგანულ და მახლობელ თემას წარმოადგენს. ამ თემაზე საინტერესო სურათი შექმნა ს. ნადარეიშვილმა. მან ასახა სოფელ ხიდისთავში 1902 წელს მომხდარი გრანდიოზული მიტინგი, რომელზეც მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ამხანაგი სტალინი. დინამიკური კომპოზიციის ცენტრს წარმოადგენს ახალგაზრდა სტალინი, რომლისკენაც ყველა მიიღტვის.

ს. ქობულაძის სურათი — „ბათუმის დემონსტრაცია“ ასახავს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით 1902 წლის 9 მარტს მოწყობილ მუშათა დემონსტრაციას ბათუმში.

ამავე თემას ასახავს მოქანდაკე გ. სესიაშვილის მიერ შექმნილი სკულპტურა „დაჭრილი დემონსტრანტი“.

მ. თოიძის სურათის თემას წარმოადგენს ი. ბ. სტალინისა და მ. ი. კალინინის შეხვედრა თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების სახარატო საამქროში 1909 წელს.

ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის ა. ბანძელაძის სურათი ასახავს ლენინსა და სტალინს სმოლნში.

აპოლონ ქუთათელაძის სურათი — „სტალინი მუშაობის დროს“ წარმოადგენს დიდი ბელადის შთაგონებული, ბრძნული სახის გადმოცემის წარმატებითს ცდას.

უჩა ჯაფარიძის მიერ შექმნილი სტალინის მონუმენტური პორტრეტი განირჩევა გადმოცემის კეთილშობილური სისადავით, სახის დიდი ადამიანურობით.

ი. ბ. სტალინის პორტრეტი, დახატული ქეთევან მაღალაშვილის მიერ, მისთვის ჩვეული ოსტატობით არის შესრულებული.

ნიჭიერი ახალგაზრდა მოქანდაკის ბიძინა ავალიშვილის მიერ ხეში გამოქანდაკებული ახალგაზრდა სტალინის პორტრეტი შესრულებულია გემოვნებითა და მასალის კარგი გრძნობით. ახალგაზრდა მოქანდაკის ნ. ქუთათელაძის მიერ ხეშივე შესრულებული სტალინის ბიუსტი მშვენიერი კომპოზიციით გამოირჩევა. რ. შეროზიას — „ი. ბ. სტალინი“ წარმოადგენს კომპოზიციურად საინტერესოდ გადაწყვეტილ მონუმენტურ ქანდაკებას.

აღსანიშნავია ს. კაკაბაძის მიერ გაკეთებული ი. ბ. სტალინის ბიუსტი. აგრეთვე ტ. სიხარულიძის — „ბელადი“ (მთლიანი ფიგურა), გ. ბილანიშვილის — „ი. ბ. სტალინის ბიუსტი“ შესრულებული ხეში, კ. მერაბიშვილის კომპოზიცია — ლენინი და სტალინი.

ვ. შერპილოვის სურათი — „ამხანაგი ი. ბ. სტალინი კრემლის „მოლოტოვის“ გემბანზე“ საყურადღებო ნაწარმოებია. პირველ რიგში აღსანიშნავია ი. ბ. სტალინის მიმზიდველი ფიგურა კომპოზიციის ცენტრში. ბელადი გაღიმებული ესალმება კრეისერის ეკიპაჟს.

ახალგაზრდა მხატვრის გრ. ჩირინაშვილის ტილო „ამხანაგი სტალინი კოლმეურნეთა შორის“ უშუალობით და გულთბილობით ხასიათდება.

რ. სტურუას სურათი „მე ვნახე სტალინი“ თემატურად საინტერესოდ არის მოფიქრებული. იგი წარმოადგენს კოლმეურნეთა ჯგუფს, რომელთაც შრომის გმირი ქალი მოუთხრობს მის მიერ კრემლში, დიდ ბელადთან შეხვედრის მღელვარე ამბავს.

აღსანიშნავია ა. გიგოლაშვილის სურათი: „ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი და ლ. პ. ბერია ბავშვებთან“, რომელიც გადმოცემის ინტიმურობითა და გულთბილობით გამოირჩევა, აგრეთვე კ. კიკნაძის სურათი „ი. ბ. სტალინი და ვ. მ. მოლოტოვი“.

ყურადღებას იპყრობენ ვ. ტოროტაძის „ი. ბ. სტალინი ფრონტზე“, შ. მაყაშვილის „ი. ბ. სტალინი და ლ. პ. ბერია იმერელ გლეხებს ესაუბრებიან წყალტუბოში“, დ. ურუშაძის „ავიაციის დღე მოსკოვში“.

გრაფიკულ ნაწარმოებთა შორის საყურადღებოა დ. ქუთათელაძის ოფორტების სერია, რომელთა თემას წარმოადგენს ამხანაგ სტალინის რევოლუციური მოღვაწეობა, თ. აბაკელიას მთელი რიგი გრაფიკული ნაწარმოებები ი. ბ. სტალინის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან, ა. ქუთათელაძის ნახატი „ამხანაგი სტალინი დედასთან“ და სხვ.

საინტერესო ნაწარმოებები მიუძღვნეს ქართველმა გრაფიკოსებმა მშობლიური სტალინის ბავშვობასა და ყრმობას. ახალგაზრდა მხატვრის შ. ცხადაძის სურათში „არსენას ლექსი“ წარმოსახულია პატარა სოსო, რომელიც თავის ახლობლებს საყვარელ წიგნს უკითხავს. ი. გაბაშვილის ნახატების სერია „სტალინის ბავშვობა“ გულწრფელი განწყობილებით გამოირჩევა. დ. გაბაშვილის გემოვნებით შესრულებული ნახატები ასახავენ ამხანაგ სტალინის ცხოვრების იმ პერიოდს, როცა იგი სემინარიაში სწავლობდა. აღსანიშნავია ვ. კეშელავას გრაფიკული ნაწარმოებები „სტალინი მოწაფეობის ასაკში“, „სტალინი და კურნატოვსკი“.

ყურადღებას იპყრობს ი. ოქროპირიძის მშვენიერი სკულპტურული კომპოზიცია „ყრმა სტალინი უკითხავს ილია ჭავჭავაძეს თავის ლექსს „დილას“, ს. კაკაბაძის ქანდაკება „დიადი ჭაბუკი“. აღსანიშნავია აგრეთვე გ. თაგორაშვილის სურათი „ბელადის ყრმობა“.

მრავალი ნაწარმოები უძღვნეს მხატვრებმა საბჭოთა საქართველოს სოციალისტური ცხოვრების ასახვას. ინდუსტრიული გიგანტი რუსთავი, სამგორის გრანდიოზული მშენებლობა, ხუთწლიდით გათვალისწინებული სხვადასხვა მნიშვნელოვანი სამშენებლო ობიექტები, საკოლმეურნეო ცხოვრება,—წარმოადგენენ ქართველ მხატვართა სურათების თემას.

ამ თემის ამსახველ სურათებს შორის აღსანიშნავია კ. სანაძის „სამგორის განთიადი“, გ. ჯაშის „კვირეული სამგორში“, ახალგაზრდა მხატვრის ზ. გოგოლაშვილის „შრომაში გამარჯვებული“, ელ. ახვლედიანის „სტალინური ინდუსტრიის გმირები“ და „ქართული პეიზაჟი“, შ. მამალაძის „შახტმშენის სახლის მშენებლობა“ და პეიზაჟები, ს. ციმაკურიძის „სანაპიროს მშენებლობა“, ლ. გუდიაშვილის „შავი ქვის გადატვირთვა შორაპანში“, პ. ბლიოტკინის „ლ. პ. ბერია ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე“, ვ. ჯაფარიძის „კვირეული სამგორში“, შ. მეტრეველის „წიგნი ბელადზე“, გ. ჯორჯაძის „სიმღერა სტალინზე“, მ. მეტრეველის „რთველი“, ა. ბაკბეუქ-მელიქოვის და გუროს „ტყიბულის მაღაროელთა ჯგუფური პორტრეტი“, ს. ნიაურის „ასფალტ-ბეტონის ქარხანაში“, კ. ხუციშვილის „ელმავლის პირველი შეკეთება თბილისის დეპოში“, კ. ჭანკვეტაძის „ხრამჰესი“, ნ. აბესაძის „რუსთავი“, ი. გეპნერ-გიგოლაშვილის „კოლმეურნე ქალი“.

ყურადღებას იპყრობენ ახალგაზრდა მხატვრების ბ. გორგაძის და ა. ელენტის რუსთავის ეტიუდები, ლ. ძაძამიძის „კოლხიდა“, გ. გულისაშვილის „სამუშაოდან დაბრუნება“.

დავით კაკაბაძემ შექმნა საინტერესო რეალისტური სურათები თანამედროვე, ინდუსტრიული საქართველოს თემაზე. ესენი: „სამთო სამუშაოები ზემო სვანეთში“, „ელევატორი ფოთში“ და „მყინვარწვერი“. აღსანიშნავია მირზაშვილის სურათი „რაიხსტაგის შტურმი“.

თანამედროვე საქართველოს საინტერესოდ ასახავენ ქართველი გრაფიკოსებიც და მოქანდაკეებიც.

დ. გაბაშვილმა შექმნა სერია შესანიშნავი ნახატებისა „ნავთის ძიებაზე“, რომლებიც მხატვრის დიდ გემოვნებას და ოსტატობას ამჟღავნებენ. გემოვნებით არის შესრულებული ს. მაისაშვილის მინიატურები „ახალი საქართველო“. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ იორამ მამალაძის აკვარელით შესრულებული ქართული პეიზაჟები. ოსტატურადაა შესრულებული დ. ქუთათელაძის ავტოლითოგრაფიები „რუსთავი“. აღსანიშნავი არიან—ი. შარლემანის „მარულა“, ვ. ქუთათელაძის ფერადი ავტოლითოგრაფიების სერია „ახალი თბილისი“, ვ. ბელეცკაიას ფერადი ლინოგრავიურა „ვალდებულება შესრულებულია“, ვ. გიორგობიანის ავტოლითოგრაფია „ლითონმსხმელები“, ნ. ჩერნიშკოვის ფერადი ლინოგრავიურები „რუსთავი“, მ. ბერძენიშვილის „სტალინის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი“, ნ. ფოფხაძის „საბავშვო რკინიგზა“, ნ. ბრაილაშვილის ლინოგრავიურები „შრომაში წარჩინებულნი“, ნ. ფალავანდიშვილის „სანაპიროს მშენებლობა“, ე. გრიგოლიას „მიჩურინელები“.

ცალკე აღსანიშნავია ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის ე. ანდრონიკაშვილის შრომის გმირების შესანიშნავი ავტოლითოგრაფიული პორტრეტები, ს. ნაცვლიშვილის ოფორტების სერია „რუსთავი“, და ი. კალაძის ოფორტები — „ზურგი და ფრონტი“.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს ქართველმა ახალგაზრდა მოქანდაკეებმა. აღსანიშნავია ნიჭიერი ახალგაზრდა მოქანდაკეების ნაწარმოებები: გ. თოიძის ჭაათურელ მეშახტეთა პორტრეტები, თ. ასათიანის „ელექტროშემდუღებელი“, ა. გორგაძის „ლითონმსხმელი“, კ. შილაკაძის „მეშახტე“, ლ. ცომაიას „სოციალისტური შრომის გმირის ორაგველიძის პორტრეტი“, ა. კრაწაშვილის „გმირი ალფაიძე“, ვ. კოკოევის ზნაურ აიდაროვის ბიუსტი, ა. ჟორდანიას „მშენებელი“, ბ. ღოღობერიძის „სოციალისტური შრომის გმირის რიგვავას პორტრეტი“ ვ. ჩხეიძის „სოციალისტური შრომის გმირი სვანიძე“.

მნიშვნელოვანი ნამუშევრები შექმნეს ქართველ მოქანდაკეთა უფროსი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა: თ. აბაკელიამ — ჯგუფური კომპოზიცია — „ბედნიერი ოჯახი“, ს. კაკაბაძემ — ლ. პ. ბერიას პორტრეტი, შ. მიქატაძემ — „მეტალურგი“, კ. მერაბიშვილმა — ლ. პ. ბერიას პორტრეტი მარმარილოში, მ. თალაქვაძემ — ვ. მ. მოლოტოვის პორტრეტი.

საქართველოს სახალხო მოქანდაკე იკობ ნიკოლაძე გამოფენაზე წარმოდგენილია სკულპტურით — „დიადი ჭაბუკი“, რომელიც მაღალი ოსტატობითა და შთაგონებით არის შესრულებული.

საინტერესო ნაწარმოებებია ი. ყანდაშვილის მიერ შესრულებული დეკორაციული კერამიკული ვაზები ბარელიეფებით, რომლებზეც ასახულია ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის ეპიზოდები.

ქართველ მხატვართა ნაწარმოებების ნაწილი გაგზავნილია მოსკოვში 1949 წლის საკავშირო გამოფენაზე. მათ შორის არიან: უჩა ჯაფარიძის, ი. ვეფხვაძის, რ. სტურუას, კ. სანაძის, ლ. ლეონიძეს, კ. გრძელიშვილის, ა. ვეფხვაძის, დ. ქუთათელაძის და სხვათა ნამუშევრები.

წლევანდელი გამოფენა ქართველ მხატვართა თვალსაჩინო გამარჯვებაა მაღალიდეური და მაღალმხატვრული ხელოვნებისათვის ბრძოლაში.

ლ. ბაგრატიონი

განახლებული ქუთაისი

1. ჩვენი ქალაქის ისტორიის ყველაზე ძვირფასი ფურცლები

მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს ქუთაისს. ბევრი ჭირვარამი გადახდა მას და ბევრი რამის მომსწრეა. მაგრამ ამ ისტორიიდან ყველაზე ძვირფასია ის ფურცლები, რომლებიც დაკავშირებულია ხალხთა დიდი ბელადის ი. ბ. სტალინის სახელთან. სისხლიანი ცარიზმის წინააღმდეგ ქუთაისის მშრომელთა ბრძოლა რევოლუციის გარიჟრაჟიდანვე ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით წარმოებდა. სტალინი იყო იმ უმნიშვნელოვანესი რევოლუციური გამოსვლების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი, რომლებიც 1903-1904 და მომდევნო წლებში ხორციელდებოდა ქუთაისში. სტალინთან ერთად, მისი ხელმძღვანელობით სხვადასხვა დროს ქუთაისში მუშაობდნენ და რევოლუციურ მოღვაწეობას ეწეოდნენ ალექსანდრე (საშა) წულუკიძე, მიხა ცხაკაია, პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძე, ფ. მახარაძე, ს. ქავთარაძე, ზემლიაჩკა და სხვები.

1903 წლის 19 აპრილს ი. ბ. სტალინი ბათუმის საპატიმროდან ქუთაისის საგუბერნიო საპატიმროში გადაჰყავთ, სადაც მან დაჰყო იმავე წლის ნოემბრამდე.

„ამხანაგი სტალინი ქუთაისის საპატიმროშიც, ისე როგორც ბათუმის საპატიმროში, დიდ პოლიტიკურ მუშაობას ეწევა პატიმართა შორის, ამყარებს კავშირს პოლიტიკური პატიმრების ყველა საკანთან, ეწევა მათ შორის ლენინურ-ისკრული იდეების პროპაგანდას, მკაცრად ამხილებს „მესამედასის“ უმრავლესობის, გაზეთ „კვალის“ და ნოე ჟორდანიას ოპორტუნიზმს, პროლეტარიატის ჰეგემონიის იდეებისა და გლეხთა მოძრაობისათვის პროლეტარული ხელმძღვანელობის გაწევის აუცილებლობის პროპაგანდას ეწევა“. (ლ. ბერია).

მიუხედავად საპატიმროს მკაცრი რეჟიმისა, სტალინი დაუყოვნებლივ აბამს კავშირს ქუთაისში არსებულ რევოლუციურ სოციალ - დემოკრატიულ ორგანიზაციებთან და წარმართავს მათს მუშაობას.

როდესაც ამხანაგმა სტალინმა პროკოფი (ალიოშა) ჯაფარიძის საშუალებით გაიგო თბილისის, „მეტეხის ციხეში“ 17 აგვისტოს ლადო კეცხოველის ვერაგული მკვლელობის ამბავი, მაშინვე აცნობა დანარჩენ პატიმრებს და ლ. კეცხოველი დაახასიათა, როგორც ერთ-ერთი უშიშარი, შეუდრეკელი მებრძოლი მშრომელთა განთავისუფლების საქმისათვის. საპატიმროშივე გაიგო სტალინმა პარტიის მეორე ყრილობაზე მომხდარი განხეთქილების ამბავი და მაშინვე მტკიცედ დადგა ლენინის მხარეზე.

1903 წლის ნოემბერში სტალინი უკანვე მიჰყავთ ბათუმში, საიდანაც ასახლებენ ირკუტსკის გუბერნიაში. მაგრამ მალე, 1904 წლის დამდეგს, გადასახლებიდან გამოქცეული ის ჩამოდის საქართველოში, სათავეში უდგება ბოლშევიკური ორგანიზაციების მთელ მუშაობას და რაზმავს მათ პარტიის მესამე ყრილობის მოწვევისათვის საბრძოლველად.

ი. ბ. სტალინი აწყობს დისკუსიებს ქუთაისსა და მის რაიონებში, სადაც ის სასტიკად ამათრახებდა მენშევიკებს, ანარქისტებს, ფედერალისტებსა და ყველა ჯურის ოპორტუნისტებს, მტკიცედ იცავდა ლენინურ ხაზს და ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა. ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ხონში მოეწყო დისკუსია მენშევიკებთან. მენშევიკები სასტიკად იქნენ დამარცხებულნი, რის შედეგადაც შეიქმნა ხონის ბოლშევიკური კომიტეტი.

ქუთაისში მუშაობის პერიოდში, 1904 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სტალინმა დაწერა „წერილები ქუთაისიდან“, რომელშიც მოგვცა ოპორტუნიზმის გამანადგურებელი კრიტიკა და გრწყინვალედ დაიცვა ლენინური დებულება მუშათა სტიქიურ მოძრაობაში სოციალისტური შეგნების შეტანის შესახებ.

ი. ბ. სტალინს ქუთაისის კომიტეტი გადაჰყავს ბოლშევიზმის პოზიციებზე. „მხოლოდ ქუთაისის კომიტეტი ყოყმანობდა,—ამბობს ამხანაგი სტალინი თავის „წერილში ქუთაისიდან“, — მაგრამ მე მოვახერხე დამჯერებინა ისინი და ამის შემდეგ ბოლშევიზმს ფიცულობენ“. (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 57).

ი. ბ. სტალინმა ქუთაისის კომიტეტთან შექმნა პროპაგანდისტთა ჯგუფი, თვითონ შეადგინა ამ ჯგუფის სამეცადინო პროგრამა და ჯგუფში გაერთიანებული რევოლუციონერები მოამზადა პარტიულ-საagიტაციო მუშაობისათვის.

1905 წლის ივნისში ი. ბ. სტალინი კვლავ ქუთაისშია და 12 ივნისს ესწრება ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწისა და მარქსიზმის პროპაგანდისტის ალექსანდრე წულუკიძის დაკრძალვას. სტალინმა სოფელ გუბაში წულუკიძის ცხედართან წარმოთქვა ბრწყინვალე სიტყვა, „რომელშიც მან, საშა წულუკიძის მუშაობის შეფასებასთან ერთად, გადაშალა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მუშათა და გლეხთა რევოლუციური ბრძოლის ამოცანები და სურათი. ამხანაგ სტალინის სიტყვას უდიდესი ბოლშევიკური გამარკვეველობა ჰქონდა“. (ლ. ბერია).

წულუკიძის დაკრძალვის შემდეგ, ხონში მოეწყო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების წარმომადგენლები. მენშევიკების ორატორებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. ბოლშევიზმის ტაქტიკა გენიალურად დაიცვა ამხანაგმა სტალინმა, რომელსაც დამსწრეებმა ოვაცია გაუმართეს.

ამის შემდეგ ამხანაგი სტალინი კიდევ ჩამოდის ქუთაისში და აწყობს მთელ რიგ დისკუსიებს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია იოსებ გვეტაძის სახლში (ამჟამად მარქსის ქუჩაზე) მოწყობილი დიდი დისკუსია. ამ დისკუსიაზე სტალინი გამანადგურებელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს მენშევიკებსა და მათ ლიდერებს.

2. ქუთაისი წინათ

რევოლუციამდე ქალაქი ქუთაისი არასახარბიელო სურათს წარმოადგენდა. მრეწველობა სუსტად იყო განვითარებული. მაგალითად, 1912 წელს ქალაქად რამდენიმე პრიმიტიული საწარმოო-სახელოსნო იყო 272 მუშით. 1914 წლის გაზეთები წერდნენ: „ყველაფერი დაუმთავრებელი, მოუშუშებელია ქუთაისში, თითქოს სათარეშოდ ვიყოთ მოსული... დაიწყებს ვინმე ქარხნის შენობას... მიატოვებს და გასვრილი მასალა: ნაფოტი, დაჟანგებული იარაღები, ნახევრად ამოყვანილი ბალავერი ჰყრია თვალთდასატკბობად წლიდან წლამდე“.

სავალალოდ გამოიყურებოდა კომუნალური მეურნეობაც. კერძო მფლობელობაში მყოფი მცირეძალოვანი თბოელექტროსადგური, რომლის ენერგიაც სამუალოდ სულზე 7-8 კილოვატით განისაზღვრებოდა წელიწადში, მოძველებული და მოუწყობელი მცირე გამტარუნარიანობის ორი კერძო აბანო, კერძო სასასენიზაციო რამდენიმე კასრი, 12 მეთულუხე, რომლებიც მდინარე რიონის წყალს ზიდავდნენ ქალაქში, ქალაქის ცენტრში მოკირწყლული რამდენიმე ქუჩა — აი, იმდროინდელი ქუთაისის სახე.

განათლების საქმე ქუთაისში არა თუ უმჯობესდებოდა, არამედ, პირიქით, უარესდებოდა. მაგალითად, 1905 წლიდან 1914 წლამდე ქუთაისში სასწავლებელთა რიცხვი 40 პროცენტით შემცირდა, ხოლო მოსწავლეებისა — 27 პროცენტით. საგუბერნიო სტატისტიკური სამმართველოს ცნობებით, 1902 წელს ქუთაისში მოქმედებდა ვაჟთა კლასიკური გიმნაზია 682 მოსწავლით და 30 მასწავლებლით, რეალური სასწავლებელი 545 მოსწავლით და 22 მასწავლებლით, ქალთა გიმნაზია 733 მოსწავლით და 38 მასწავლებლით და ერთი-ორი პროგიმნაზია, ფერმის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც ჯერ კიდევ 1850 წელს დაარსდა.

მრეწველობის, კომუნალური მეურნეობისა და სახალხო განათლების მსგავსად ძალიან ჩამორჩენილი იყო სახალხო ჯანმრთელობის დაცვის საქმე. სამკურნალო დაწესებულებათაგან აქ მუშაობდა ექიმ თოფურიას მიერ ჯერ კიდევ 1889 წელს დაარსებული საავადმყოფო, რომელიც 1913 წელს ქალაქის საავადმყოფოდ გადაკეთდა და 75 საწოლს ითვლიდა. ამბულატორია ქალაქს დიდხანს არ ჰქონია. ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმე კერძო ექიმების, ფერშლებისა და ექიმბაშების ხელში იყო.

1905 წელს ქუთაისში სულ 16 ექიმი, 16 ფერშალი, 8 ბებია ქალი იყო. ქალაქს კბილის 4 ექიმი და 12 ფარმაცევტი ჰყავდა, რომლებიც ემსახურებოდნენ არა მარტო ქ. ქუთაისს, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. მედპერსონალის სიმცირე, დედათა და ბავშვთა დაცვის დაწესებულებათა უქონლობა, ბინძურებული სასმელი წყალი, ქუჩების, ეზოების და შესახვევების უსუფთაობა, დაბალკედლიანი, ბნელი და უვენტილაციო ბინები, სასკოლო ინვენტარის ნაკლებობა, ფიზკულტურის განუვითარებლობა და სხვა მიზეზები იწვევდენ სხვადასხვა სახის ეპიდემიურ დაავადებას. ყოველ 100 მკვიდრებზე 25 სნეულებით იყო შეპყრობილი. კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა ქუთაისი უბადრუკი მენშევიკების ბატონობის დროს.

ასეთი იყო ქუთაისი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

3. ახალი ქუთაისი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ შეუდარებელად იცვალა სახე ქალაქმა ქუთაისმა. „იგი თბილისის შემდეგ საქართველოს მეორე სამრეწველო ცენტრია. მოქმედ საწარმოებიდან სტალინის სახელობის რიონჰესის, ლიტოპონის ქარხნის, აბრეშუმის კომბინატის, მაუდის და სამკერვალო ფაბრიკების, საკონსერვო ქარხნის, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის და კიდევ ბევრ სხვა საწარმოთა პროდუქცია კარგად არის ცნობილი საქართველოს მშრომელებისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქუთაისის მრეწველობის სწრაფი აღმავლობა ომისშემდგომი ხუთწლედის განვლილ წლებში. ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა პროდუქციის გამოშვების გეგმა 1946 წელს შეასრულეს 105,2 პროცენტით, 1947 წელს — 106,7 პროცენტით, 1948 წელს — 108,5 პროცენტით. ქუთაისის მრეწველობამ ომამდელ 1940 წლის დონეს უკვე 1947 წელს გადააჭარბა 32 პროცენტით, 1948 წელს — 156 პროცენტით, 1949 წლის 11 თვეში კი 7,5-ჯერ უფრო მეტი პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე ომამდელ 1940 წელს. 1949 წლის სამრეწველო პროდუქციის დონემ 1713-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

მკვეთრად იცვლება ქუთაისის სახე მეოთხე სტალინურ ხუთწლედში. მთავრდება საავტომობილო ქარხნის მშენებლობა, რომელიც გამოუშვებს „ზის“ 150 მარკის სატვირთო ავტომანქანებს.

მიმდინარე ხუთწლედში ბიგო მანქანათმშენებელი ქარხანა „მაღაროელი“, რომელიც შეუფერხებლად აკმაყოფილებს ქვანახშირის მრეწველობას ძვირფასი მექანიზმებით.

შესანიშნავი წარმატებით აღინიშნა მიმდინარე ხუთწლედში მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მშენებლობაც. აიგო პენიაკისა და ბამბის საქსოვი საწარმოები, ტყავისა და პურის ქარხნები. ახლო მომავალში პროდუქციას გამოუშვებს შუშის ტარის მძლავრი ქარხანა. იწყება საკონდიტრო ფაბრიკის, ლუდის ქარხნისა და ხორცკომბინატის მშენებლობა. მიმდინარეობს მაუდის ფაბრიკის რეკონსტრუქცია.

სამრეწველო ხასიათის მშენებლობასთან ერთად, სტალინური ხუთწლედების განმავლობაში ხორციელდებოდა ქალაქის რეკონსტრუქციის და კეთილმოწყობის დიდი პროგრამა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აიგო წყალსადენი, კანალიზაცია, გაყვანილი იქნა ელექტროქსელი, აშენდა აბანოები, ქალაქის ქუჩების მთავარი მაგისტრალები დაიფარა გუმჯობესებული საფარით, გაშენდა ორი ახალი ბაღი, სკვერები, გამწვანდა ქალაქის ქუჩები, აიგო 4-სართულიანი კეთილმოწყობილი სასტუმრო, მეოთხე ხიდი, საცხოვრებელი ბინები. ქალაქს შეემატა ეკლარის ქვით მოპირკეთებული 4-სართულიანი ადმინისტრაციული სახლი. ქალაქის დამამშვენებელი გახდა საუკეთესო ძეგლები და მონუმენტები.

რეკონსტრუირებულია ქალაქის ცენტრალური მოედანი. ახლა მისი სახით ქალაქს აქვს სტალინის სახელობის კეთილმოწყობილი ცენტრალური მოედანი, რომლის ფართობი 10.000 კვადრატული მეტრია და რომლის ცენტრში აღმართულია ეკლარის ქვით გამოქანდაკებული დიდი სტალინის შესანიშნავი მონუმენტი. მოედნის ირგვლივ იწყება მშენებლობა ოთხსართულიანი არქიტექტურულად გაფორმებული სამი საცხოვრებელი სახლისა, რაც მოედნის სახეს დაასრულებს. უახლოეს დროში დასრულდება ქუთაისის დრამატული თეატრის ულამაზესი შენობა, რომელიც დიდად დაამშვენებს ცენტრალურ მოედანს.

მოკლე ხანში დამთავრდება რკინიგზის სადგურის მოედნის რეკონსტრუქციის სამუშაოები, საიდანაც თვალწინ იშლება ქალაქ ქუთაისის ცხობილი ულამაზესი ხედი.

შენდება და უახლოეს დროში დამთავრდება ფიზკულტურის ცენტრალური სტადიონი 20.000 მაყურებლისათვის, სადაც ფეხბურთის მოედნისა და სარბენი ბილიკების გარდა, იქნება კალათბურთის და ფრენბურთის, ჩოგბურთის და მძლეოსნობის რამდენიმე მოედანი.

ჩვენი ქალაქის მშრომელებისათვის უაღრესად დიდ მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს 1949 წლის სექტემბრიდან საქალაქო ტრანსპორტის ორგანიზაცია—ტროლეიბუსის მეურნეობის სახით.

ქალაქის მოსახლეობა, საწარმოები და დაწესებულებები აძეკამად უზრუნველყოფილი არიან წყლით, ხოლო ქალაქის ელექტროენერგიის საჭიროების სრული დაკმაყოფილების მისაღწევად მიმდინარეობს ელექტროქსელის რეკონსტრუქცია.

დიდი მასშტაბით მიმდინარეობს რა ქალაქის კეთილმოწყობის სამუშაოები, თითქმის ახლებურად ეწყობა ქუჩები, მოედნები და გადასასვლელები.

ქალაქად ამჟამად მოქმედებს განათლების დიდი ქსელი, სადაც 14.000-ზე მეტი მოსწავლეა. მათი აღზრდის კეთილშობილურ საქმეს 750 მაღალკვალიფიციური პედაგოგი ემსახურება.

ყოველწლიურად მაღალკვალიფიციურ კადრებს აძლევენ ჩვენს ქვეყანას პედაგოგიური ინსტიტუტი და სამთო, სასოფლო-სამეურნეო, საავტომობილო, სატყეო ტექნიკუმები, აგრეთვე მრავალი სახელოსნო სასწავლებელი და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლა. მარტო პედაგოგიურ ინსტიტუტში 156 მეცნიერი მუშაკია.

თავის ბრწყინვალე ტრადიციების ერთგული წარმატებით მუშაობს ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მ. ბალანჩივაძის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი.

დიდ დახმარებას უწევენ ქალაქის მშრომელებს იდეურ - პოლიტიკური ცოდნისა და კულტურული მომსახურების შემდგომი ამაღლების საქმეში ფართოდ მოფენილი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი, თოჯინების თეატრი, კინოები და საწარმო-დაწესებულებებთან არსებული მუშათა კლუბები.

ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 60-მდე სამკურნალო და პროფილაქტიკური დაწესებულება, სადაც 300-ზე მეტი ექიმი და 600 საშუალო სამედიცინო პერსონალი მუშაობს.

ქუთაისის მშრომელები ერთსულოვნად დარაზმული მუშაობენ თავიანთი ქალაქის შემდგომი აყვავებისათვის, ახალ-ახალი შრომითი საქმეებით უპასუხებენ ლენინ-სტალინის დიდი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვას ჩვენი ქალაქის შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის.

საყოველთაო-სახალხო სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად გაიშალა, მოიცვა ქალაქ ქუთაისის ყველა საწარმო. ინდუსტრიული ქუთაისის საწარმოებში არ არის არც ერთი მუშა, რომელიც შრომითს საჩუქარს არ ამზადებდეს ამ ძვირფასი და ღირსშესანიშნავი თარიღისათვის.

ბ. ლომიძე

მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

პროგრესული კაცობრიობის ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავად

ჩინეთი

პეკინი, 18 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, პეკინის ჟურნალმა „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობამ“, რომელსაც სცემს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოება, გამოუშვა ამხანაგ ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სპეციალური ნომერი. ამ ნომერში მოთავსებულია ჩენ ბო-დას სტატია „სტალინი და ჩინეთის რევოლუცია“, აგრეთვე ლიუ შაო-ცის, ჭ-ნ სუნ იატ-სენის, ლი ძი-შენის, ჯან ლანის, შენ ჩუნ-ნუს და გო მო-ჟოს სტატიები.

ჟურნალში მოთავსებულია ამხანაგ სტალინის სიტყვა, წარმოთქმული 1926 წელს, „ჩინეთის რევოლუციის პერსპექტივების შესახებ“.

გაზეთმა „ჟენმინიბაომ“ ორი გვერდი უძღვნა ამხანაგ სტალინის მოკლე ბიოგრაფიას.

პეკინი, 18 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ აზიის ქვეყნების ქალთა კონფერენციამ თავის საბოლოო სხდომაზე მიიღო მისასალმებელი მიმართვა გენერალისიმუს სტალინისადმი; მიმართვაში აღნიშნულია, რომ „სოციალიზმის გამარჯვების მეოხებით აზიის ქალები ხედავენ, თუ როგორ ამოდის მზე და აშუქებს მათს ძნელსა და მონურ ცხოვრებასაც“.

„თქვენი სახით,—ნათქვამია მიმართვაში, — ჩვენ ვხედავთ კაცობრიობის უდიდეს მასწავლებელს. თქვენ ყველა ხალხის მეგობარი ხართ. ჩვენ და ჩვენი შვილები სიხარულით გიცხადებთ უსაზღვრო მადლობას“.

უნგრეთი

ბუდაპეშტი, 18 დეკემბერი. (საკდესი) ამას წინათ ბუდაპეშტის ეროვნულ მუზეუმში გახსნილმა გამოფენამ „დიდი სტალინის ცხოვრება“ უნგრეთის დედაქალაქის უაღრესად ფართო წრეების ყურადღება მიიპყრო. აქ მოდიან მუშათა ჯგუფები, სტუდენტები და მოწაფეები, ახლომახლო სოფლების გლეხები.

მნახველნი დიდი ყურადღებითა და სიყვარულით ათვალიერებენ კაცობრიობის უდიდესი გენიის შესანიშნავი ცხოვრების ამსახველ ფოტოგრაფიებს, დოკუმენტებს, პლაკატებს, სურათებს.

გამოფენიდან წასვლის წინ ხანშიშესული მუშა ქალი მნახველთა წიგნში წერს თავის შთაბეჭდილებას: „გამოფენა საოცარია. გამოფენის ნახვა ბევრ კარგ რამეს გვასწავლის. მადლობა სტალინს! მადლობა!“

„დიდი სტალინის ცხოვრება შრომისათვის, ბრძოლისათვის, გამარჯვებისათვის აღგვაფრთოვანებს“,—წერს პირის გადასაღები ქაღალდის სახელმწიფო ფაბრიკის მუშათა ჯგუფი.

„აქ, ამ გამოფენაზე,—წერს გლეხი იენე ხალონში,—ადამიანი სწავლობს, თუ როგორ უნდა იცხოვროს და ძალას იძენს ამ ცხოვრებისათვის“.

„მუდმივი მადლობისა და სიყვარულის გრძნობით ვიფიქრებ ჩვენს საყვარელ მამაზე, მეგობარსა და მასწავლებელ—დიდ სტალინზე“. მარიამ ხორვატის ეს სიტყვები გამოხატავენ უნგრეთის მრავალი ათასი მშრომელის გრძნობასა და ფიქრს.

ბუდაპეშტი, 18 დეკემბერი. (საკდესი). ქალაქის ტრანსპორტის სამმართველოს კოლექტივმა მიიღო გადწყვეტილება ვადაზე ადრე—ღირსშესანიშნავ თარიღამდე, 21 დეკემბრამდე —დაამთავროს ბუდაპეშტში ტროლეიბუსის ხაზის გაყვანა. ამ დღეს ქალაქში დაიწყება საბჭოთა კავშირიდან მიღებული პირველი ტროლეიბუსების მიმოსვლა.

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 18 დეკემბერი. (საკდესი). ამჟამად, როცა მთელი პროგრესული კაცობრიობა ემზადება ღირსეულად აღნიშნოს მისთვის ძვირფასი თარიღი—ხალხთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავი, მთელ ჩეხოსლოვაკიაში დიდი აღფოთოვანებით მიმდინარეობს ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები. ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეები დაიწყო ამა წლის 2 ნოემბერს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ კლემენტ გოტვალდის გამოსვლით.

ამ ხნის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის 10 მილიონზე მეტი მოქალაქე დაესწრო ამხანაგ ი. ბ. სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიღწევებისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებებსა და მიტინგებს.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირმა რუსული ენის სახალხო კურსები მოაწყო, რათა დაეკმაყოფილოს მშრომელთა ფართო მასების სურვილი—ღრმად, ორიგინალუბით შეისწავლონ რევოლუციის დიდი ბელადების ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ნაწარმოებნი, შეისწავლონ სოციალიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის უმდიდრესი და უძვირფასესი გამოცდილება. ამჟამად კურსებზე 323.472 კაცი სწავლობს. 380 ათას ცალად გამოიცა რუსული ენის სახელმძღვანელოები და მრავალ ათას ცალად—მეოთხედრა სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის.

ჩეხოსლოვაკიის ასიათასობით მოქალაქე გამოთქვამს თავის ერთგულებას, სიყვარულსა და მადლობას საბჭოთა ხალხის და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი, შედეგია ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის წევრთა რიგებში. ამა წლის 2 ნოემბრის შემდეგ კავშირია რიგებში 1.090.095 მოქალაქე შევიდა. ამჟამად ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის რიგებში მილიონნახევარზე მეტი კაცი ითვლება.

ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დღეებში რამდენიმე მილიონ ცალად გამოიცა დიდი სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი, აგრეთვე საბჭოთა კავშირის მიღწევებისადმი მიძღვნილი წიგნები.

პრაღა, 18 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მშრომელები ახალ-ახალი საწარმოო წარმატებით ხვდებიან დიად თარიღს—ჩეხოსლოვაკიის ხალხების საუკეთესო მეგობრის ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავს.

მლადაბოლესლავის საავტომობილო ქარხნის კოლექტივი დამკვრელურ ვახტზე დადგა და ვადამდე შეასრულა ხუთწლედის პირველი წლის ავტომობილების წარმოების გეგმა.

შუა ევროპის უდიდესი ღია შახტის (მურა ქვანახშირის ჩრდილოეთ ჩეხიის აუზი) მაღაროელებმა დაწესებულ ვადაზე 15 დღით ადრე შეასრულეს ხუთწლედის პირველი წლის გეგმა.

გაერთიანებული მანქანათმშენებელი ქარხნების ხარატი იანო ბაგალა ქარხნის კოლექტიუთან ერთად დადგა ამხანაგ სტალინის დაბადების 70 წლისთავის აღსანიშნავ სტალინურ დამკვრელურ ვიბტზე და 1.350 პროცენტით ასრულებს ნორმას. კოლექტივის მთელი რიგი მუშები შვიდასი, რვაასი და ათასი პროცენტით ასრულებენ ნორმას.

ლიბერეცის ოლქის მლადაბოლესლავის რაიონის გლეხებმა ვალდებულება იკისრეს აძხანაგ სტალინის დაბადების დღისათვის დაამთავროს მზრალად ხვნა.

პოლონეთი

ვარშავა, 17 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ ვარშავაში შედგა ახალგაზრდობის წარმომადგენელთა სრულიად საქალაქო საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა ი. ბ. სტალინის დაბადების 70 წლისთავს.

სხდომას დაესწრნენ: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ფრანციშეკ იუფვიაკი, ვიცე-პრემიერი ანტონ კო